ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **№01/239-16**

ქ. თბილისი **23 დეკემბერი, 2016 წელი**

ერთის მხრივ სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბეჟან თურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მსუბუქი სტანდარტული და ჯიპის ტიპის ავტომანქანების რეცხვის მომსახურების (შემდგომში – მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად). **(CPV50112300)**).

1.2 შესყიდვის ობიექტია მსუბუქი ავტომანქანის 170-ჯერ სტანდარტული რეცხვის მომსახურება, წინასწარ გაცემული რეცხვის ტალონების საფუძველზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 ერთი მსუბუქი ავტომანქანის სტანდარტული რეცხვის ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1700 *(ათას შვიდას)* ლარს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით).

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 რეცხვის ტალონების მიწოდება განხორციელდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების დაცვით, ერთიანად ან ეტაპობრივად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მოთხოვნიდან არა უმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი ოდენობისა და სახეობის რეცხვის ტალონებს. ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის მომსახურების ტალონებზე გადაცვლას. წინამდებარე ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, ავტომანქანის რეცხვის ტალონი – ეს არის მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ბარათი, რომელიც განკუთვნილია შემსყიდველისათვის და ადასტურებს მის უფლებას შესაბამის ავტოსამრეცხაოში მიიღოს ავტომანქანის რეცხვის მომსახურეობა. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- ტალონის ნომერი;
- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი“;
- ტალონის (მომსახურების) სახეობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების

ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას). ამასთანავე, ბლოკირებამდე ტალონების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

5.2 ტალონით მომსახურება განხორციელდება ნებისმიერ მის წარმომდგენ პირზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის წარმოდგენისთანავე გაურეცხოს ავტომანქანა ტალონის წარმომდგენს.

5.4 მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის ავტოსამრეცხაოებში. მიმწოდებლის ქსელში შემავალი ავტოსამრეცხაოების მისამართები გამოქვეყნებულია მიმწოდებლის ვებ-გვერდზე: www.wissol.ge და ცნობილია შემსყიდველისათვის.

5.5 ყოველი მომდევნო თვის 12 რიცხვამდე მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას ("ესაფ"-ს) წინა თვეში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ესაფ"-ის დადასტურება.

შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ესაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ესაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ესაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

5.6 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ტალონების მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის შესყიდვების მთავარი კონსულტანტი ვასილ ჭიჭაღუა, პ/ნ: 01024040100 (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს სადავო შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურუდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით..

6.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს რეცხვის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მიხედვით რეცხვის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 უნაღდო ანგარიშსწორების დროს გადახდის თარიღად მიიჩნევა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე..

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.1.3 დაასწროს თავისი წარმომადგენელი (მძღოლი) ავტომანქანის რეცხვის პროცესს.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

7.2.2 წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.2 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 ავტოსამრეცხაოში რეცხვის ტალონების წარმოდგენისთანავე გაუწიოს ტალონის წარმომდგენ პირს ტალონში აღნიშნული მომსახურება;

7.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების/ტალონების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი მომსახურების/ტალონების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.3 გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე (ტალონების შეძენის ვადა – 2016 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით) .

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეცვალოს (გაზარდოს) რეცხვის ღირებულება, რის შესახებ ის 10 დღით ადრე წერილობით აცნობებს შემსყიდველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“
ქ.თბილისი, ნ. ბოხუას #19; ს/კ: 205146493
ტელ: 238 11 61;
ელ-ფოსტა: vtchitchagua@hsoj.ge
სახელმწიფო ხაზინა,
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

ბეჟან თურმანიძე
ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.#74ბ
ს/კ: 202161098; ტ: 2 915 315(125)(166);
ელ-ფოსტა: baakal@wissol.ge
ს/ს „თიბისი ბანკის“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა #GE48TB1100000018467453

ვასილ ხორავა
გენერალური დირექტორი

MEMBER OF WISSOL GROUP

ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია
J.S.C. WISSOL PETROLEUM GEORGIA

30.12.2015 წ.
№ა/12/32

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ უფლებამოსილებას ანიჭებს ამავე კომპანიის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორს თამარ კიკვაძეს (პირადი №01008010777) ს/ს “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სახელით მოაწეროს ხელი შემსყიდველ ორგანიზაციებთან გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებს, მათ შორის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის **CON150000067** და გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, აგრეთვე გააფორმოს და ხელი მოაწეროს შეთანხმებებს ზემოთხსენებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

მინდობილობა ძალაში შედის 2016 წლის 04 იანვრიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა

74B, I. CHAVCHAVADZE AVE.
0162 TBILISI, GEORGIA

TEL.: +995 322 91 53 15
FAX: +995 322 91 52 55

WEB: WWW.WISSOL.GE
E-MAIL: OFFICE@WISSOL.GE

ს. ს. "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი "30" "დეკემბერი" 2015 წ. № 146 / ა

კომპანიაში საწვავის რეალიზაციების პროცედურების ოპტიმიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, ზოგიერთი კატეგორიის დოკუმენტზე გენერალური დირექტორის ნაცვლად ხელმოწერის უფლების დელეგირების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **თამარ კიკვაძეს** - კომპანიის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორს, 2016 წლის 04 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიენიჭოს უფლებამოსილება ს.ს. "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" სახელით ხელი მოაწეროს:

1.1. შემსყიდველ ორგანიზაციებთან გასაფორმებელ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებს, მათ შორის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის CON150000067 და გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, აგრეთვე გააფორმოს და ხელი მოაწეროს შეთანხმებებს ზემოთხსენებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე;

2. ეთხოვოს იურიდიულ დეპარტამენტს იხელმძღვანელოს წინამდებარე ბრძანებით.

ვ. ხორავა

1. ბრძანებას გაეცანი:

ა. სირბილაშვილი

2. ბრძანებას გაეცანი:

თ. კიკვაძე

3. ბრძანებას გაეცანი:

ი. მოსეშვილი

შემსრულებელი

თ. ქარჩავა